აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №34

19/10/2020 **ქ. ბათუმი**

ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1.დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) პროპორციული საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელი (ფორმა № 2-07.01.02);

ბ) მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელი (ფორმა № 2-07.01.03);

გ) საარჩევნო ბიულეტენი პროპორციული სისტემის არჩევნებისათვის (ფორმა 2-07.02.02);

დ) საარჩევნო ბიულეტენი მაჟორიტარული სისტემის არჩევნებისათვის (ფორმა № 2-07.03.02);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმატი A2) (ფორმა №1-07.01.02);

ვ)საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საოლქო მაჟორიტარული) (A2 ფორმატი) (ფორმა №1-07.02.02);

ზ) საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმა №1- 07.03.02);

თ) საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო მაჟორიტარული) (ფორმა №1- 07.04.02);

ი) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.05.02);

კ) საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.06.02);

ლ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საუბნო პროპორციული) (A2 ფორმატი) (ფორმა №1-07.07.02);

მ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საუბნო მაჟორიტარული) (A2 ფორმატი) (ფორმა №1-07.08.02);

ნ) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო პროპორციული) (ფორმა №1- 07.09.02);

ო) საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო მაჟორიტარული) (ფორმა №1- 07.10.02);

პ) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1- 07.11.02);

ჟ) საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1- 07.12.02).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 06 ოქტომბერის №33 განკარგულება „ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი